

გრძელვადიანი შენახვები

გრძელვადიან შენახვებს ჩვენ განვიხილავთ საპენსიო ფონდების კუთხით. არსებობს პენსიების სხვა და სხვა ტიპი, მათ შორის არის: სამუშაოზე დამყარებული პენსია (employment-based pension), სოციალური პენსია და უუნაროთა პენსია [2]. სოციალურია პენსია როცა სახელმწიფო ეხმარება მოქალაქეებს და იგი უხდის საპენსიო ასაკს მიღწეულ ხალხს გარკვეულ თანხას სიკვდილამდე. უუნაროთა პენსია - როცა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები საპენსიო ასაკის მიუღწევლად იღებენ დახმარებას სახელმწიფოსგან. ხოლო მუშაობაზე დამყარებული პენსიის დროს მოქალაქე თვითონ იფინანსებს საკუთარ თავს (არასახელმწიფო საპენსიო სქემა). ბოლო ტიპის საპენსიო გეგმის (სქემის) მიყვლის დროს ყალიბდება კერძო საპენსიო ფონდები. გაზეთ “The Economist”-ის მიხედვით მსოფლიოში საპენსიო ფონდები ფლობენ 20 ტრილიონ დოლარს აქტივებში.

თუ როგორ მუშაობს სამუშაოზე დამყარებული პენსიები შეერთებულ შტატებში, განვიხილავთ ქვემოთ, ასევე შევადარებთ საქართველოს და ვნახავთ როგორ შეიძლება ასეთი ტიპის სქემამ იმუშაოს ან ვერ იმუშაოს ჩვენ ქვეყანაში.

* * *

საპენსიო ფონდების დაგროვება ხდება შემდეგნაირად: მოქალაქე თავისი შემოსავლიდან რაღაც პროცენტს ინახავს გარკვეული ხნის განმავლობაში, რათა იგი გამოიყენოს საპენსიო ასაკში. მაგრამ საქმე უფრო რთულადაა და რათა გავერკვიოთ უნდა გავაკეთოთ დაშვებები.

პირველ რიგში დავუშვათ რომ მოქალაქე გეგმავს მუშაობას 65 წლამდე, ხოლო პენსიაზე გასვლის შემდეგ იგი იცხოვრებს 25 წელიწადს, ანუ იგი „გეგმავს“ გარდაცვალებას 90 წლის ასაკში, რაც შეერთებული შტატების ცხოვრების ხანგრძლივობის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია [2]. ასევე დავუშვათ რომ მისი საწყისი ხელფასი წელიწადში შეადგენს **50 000** დოლარს, რაც დაახლოებით ტოლია აშშ-ის საშუალო მაჩვენებლის [2]. ასევე დავუშვათ, რომ იგი ყოველი წლის ხელფასის **15** პროცენტის შენახვას გეგმავს. იმის გასაგებად თუ რამდენის დახარჯვას შეძლებს მოქალაქე ყოველწლიურად უნდა გავითვალისწინოთ **ხელფასის ყოველწლიური ზრდა, ინფლაცია, გადასახადები და მისი გამოქვითვები, საპროცენტო განაკვეთები და რეალური მოხმარება** [1]. ამ მონაცემების მიხედვით შევადგინოთ ცხრილი 1. ამ ცხრილის შედგენის წესებს განვიხილავთ ქვემოთ.

ცხრილი 1							
A	B	C	D	E	F	G	H
ასაკი	ხელფასი	დეფლატორი	გამოქვითვა	გადასახადი	შენახვა	საერთო შენახვა	რეალური მოხმარება
30	\$ 50,000	1	\$ 15,000	\$ 8,750	\$ 6,188	\$ 6,188	\$ 35,063
31	\$ 53,500	1.03	\$ 15,450	\$ 9,605	\$ 6,584	\$ 13,143	\$ 36,224
59	\$ 355,713	2.36	\$ 35,348	\$ 94,835	\$ 39,132	\$ 1,081,011	\$ 94,097
60	\$ 380,613	2.43	\$ 36,409	\$ 102,266	\$ 41,752	\$ 1,187,624	\$ 97,474
61	\$ 407,256	2.50	\$ 37,501	\$ 110,253	\$ 44,550	\$ 1,303,432	\$ 100,978
65	\$ 533,829	2.81	\$ 42,208	\$ 148,611	\$ 57,783	\$ 1,874,346	\$ 116,365

პირველ რიგში ამ და სხვა დანარჩენ ცხრილებშიც რიცხვები ნაჩვენებია დამრგვალებით, თუმცა ფორმულებში ისინი გამოყენებულია სრული მნიშვნელობით, ამიტომ გამოთვლებში მოცემული რიცხვების პირდაპირ გამოყენებისას შეიძლება ზუსტი პასუხები არ მიიღოს.

რაზე მიგვანიშნებს ასაკის A სვეტი - დავუშვათ რომ მოქალაქე აპირებს 30 წლის ასაკიდან 65 წლის ასაკამდე, პენსიაზე გასვლამდე, თანხა შეინახოს ყოველწლიურად რაიმე სახის აქტივში, რომელიც წლიურად რაღაც დამატებით შემოსავალს (პროცენტს) მოუტანს მას. ქვემოთ მოცემულ ცხრილში 30 დან 65 მდე ყველა ასაკი არაა ნაჩვენები, რათა არ გადაიტვიტოს ცხრილი (სტატია), ისინი უბრალოდ Excel-ის ფაილში დამალულია.

A
ასაკი
30
31
59
60
61
65

დავუშვათ, რომ ხელფასი მომდევნო 25 წლის განმავლობაში გაიზრდება მუდმივი პროცენტით. თუ ხელფასის ყოველწლიური ზრდა შეადგენს 7 პროცენტს, მაშინ მომდევნო წლის ხელფასი შეადგენს $50,000 * (1 + 0.07) = 53,500$ -ს. ასე შედგება ცხრილი 1-ის B სვეტი.

A	B
ასაკი	ხელფასი
30	\$ 50,000
31	\$ 53,500
59	\$ 355,713
60	\$ 380,613
61	\$ 407,256
65	\$ 533,829

რაც შეეხება C სვეტს - იგი წარმოადგენს დეფლატორს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია გავიგოთ მომდევნო წლების თანხა რამდენ დღევანდელ თანხას უდრის. თუ დავუშვებთ რომ ინფლაცია 3%-ია, რაც ამერიკისთვის მისაღები დონეა, მაშინ შემდეგი წლის დეფლატორი იქნება $1 * (1 + 0.03) = 1.03$, ხოლო მომდევნოსი $1.03 * (1 + 0.03) = 1.06$ და ასე შემდეგ, რითაც შედგება ცხრილის C სვეტი. ეს გვეუბნება რომ მომდევნო წლის 1.03 დოლარი უდრის დღევანდელ 1 დოლარს და რათა გავიგოთ რომელიმე შემდეგი წლის თანხის დღევანდელი ღირებულება, ეს თანხა უნდა გავყოთ იმავე წლის დეფლატორზე.

A	C
ასაკი	დეფლატორი
30	1
31	1.03
59	2.36
60	2.43
61	2.50
65	2.81

გადავიდეთ F სვეტზე. აქ მოცემულია ის თანხა რომელსაც პირი ინახავს ყოველი წლის ბოლოს. დავუშვათ რომ მოქალაქეს გადაწყვეტილი აქვს შეინახოს 15%. არ უნდა დაგვავიწყდეს რომ პიროვნებას შეეძლება ხელფასის მხოლოდ იმ ნაწილის შენახვა, რომელიც საშემოსავლოს გადახდის შემდეგ დარჩება. ანუ თუ დავუშვებთ რომ გადასახადი პირველ წელს შეადგენს 8,750 დოლარს (გადასახადებისა და მისი გამოქვითვების დათვლის წესს ქვევით განვიხილავთ), მაშინ იგი შეძლებს შეინახოს $(50,000 - 8,750) * 0.15 = 6,188$ დოლარი. ასე ყოველ შემდეგ წელს,

შემოსავალს უნდა გამოაკლდეს იმავე წლის გადასახადი და უნდა გამრავლდეს 15%-ზე, რათა მივიღოთ შენახვა.

A	B	E	F
ასაკი	ხელფასი	გადასახადი	შენახვა
30	\$ 50,000	\$ 8,750	\$ 6,188
31	\$ 53,500	\$ 9,605	\$ 6,584
59	\$ 355,713	\$ 94,835	\$ 39,132
60	\$ 380,613	\$ 102,266	\$ 41,752
61	\$ 407,256	\$ 110,253	\$ 44,550
65	\$ 533,829	\$ 148,611	\$ 57,783

G სვეტში მოცემულია საერთო შენახვა. ანუ აქ ის თანხაა მოცემული რაც წლების განმავლობაში დაუგროვდა. არ უნდა გამოგვრჩეს რომ ყოველ წელს თანხას ემატება პროცენტი. დაუშვათ რომ ნომინალური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 6%-ს. ანუ მოცემული წლის საერთო შენახვა შეადგენს წინა წლებში შენახულ თანხას დამატებული მისივე პროცენტი და ის თანხა, რომელიც მოქალაქემ მოცემულ წელს შემოიტანა. მაგალითად მეორე წლის საერთო შენახვა იქნება $6,188 \cdot (1+0.06) + 6,584 = 13,143$ და ასე ყოველ შემდეგ წელს.

A	F	G
ასაკი	შენახვა	საერთო შენახვა
30	\$ 6,188	\$ 6,188
31	\$ 6,584	\$ 13,143
59	\$ 39,132	\$ 1,081,011
60	\$ 41,752	\$ 1,187,624
61	\$ 44,550	\$ 1,303,432
65	\$ 57,783	\$ 1,874,346

გადასახადის E სვეტის შედგენისას უნდა განვიხილოთ გამოქვითვები და ორმაგი დაბეგვრა. D სვეტში მოცემულია გამოქვითვა, რაც იმას ნიშნავს რომ საშემოსავლოს გადამხდელი პირი იბეგრება შემოსავლის მხოლოდ იმ ნაწილზე, რომელიც მიიღება შემოსავლისა და გამოქვითვის სხვაობით. ანუ თუ დაუშვებთ რომ გამოქვითვა არის 15,000, ხოლო საშემოსავლო გადასახადი შეადგენს 25%-ს, მაშინ გადასახადი იქნება $(50,000 - 15,000) \cdot 0.25 = 8,750$. 15,000 არის დღევანდელი გამოქვითვა, მაგრამ ყოველი შემდეგი წლის გამოქვითვის ოდენობის დასადგენად უნდა გავითვალისწინოთ ინფლაცია და რათა დღევანდელი თანხა გადავიყვანოთ მომავლის თანხაში, სასურველი წლის დეფლატორზე უნდა გავამრავლოთ. ანუ, მაგალითად, შემდეგი წლის გამოქვითვა იქნება $15,000 \cdot 1.03 = 15,450$. ასე შედგება D სვეტი.

A	C	D
ასაკი	დეფლატორი	გამოქვითვა
30	1	\$ 15,000
31	1.03	\$ 15,450
59	2.36	\$ 35,348
60	2.43	\$ 36,409
61	2.50	\$ 37,501
65	2.81	\$ 42,208

რაც შეეხება ორმაგ დაბეგვრას, გადასახადი ერიცხება არამარტო შემოსავალს, არამედ საერთო შენახვაზე დარიცხულ საპროცენტო განაკვეთსაც. ანუ მეორე წლის გადასახადი იქნება $(53,500 - 15,450) \cdot 0.25 + 6,188 \cdot 0.06 \cdot 0.25 = 9,605$, საიდანაც $6,188 \cdot 0.06 \cdot 0.25 = 93$ არის საპროცენტო განაკვეთზე დარიცხული გადასახადი. იმის გამო რომ პირველ წელს საპროცენტო განაკვეთი არ გვაქვს, ამიტომ გადასახადი ერიცხება მხოლოდ შემოსავალს (გამოკლებული გამოქვითვა). ხოლო ყოველ მომდევნო წელს გვაქვს, რაც გადასახადის E სვეტშია გათვალისწინებული.

A	B	D	E	G
ასაკი	ხელფასი	გამოქვითვა	გადასახადი	საერთო შენახვა
30	\$ 50,000	\$ 15,000	\$ 8,750	\$ 6,188
31	\$ 53,500	\$ 15,450	\$ 9,605	\$ 13,143
59	\$ 355,713	\$ 35,348	\$ 94,835	\$ 1,081,011
60	\$ 380,613	\$ 36,409	\$ 102,266	\$ 1,187,624
61	\$ 407,256	\$ 37,501	\$ 110,253	\$ 1,303,432
65	\$ 533,829	\$ 42,208	\$ 148,611	\$ 1,874,346

ბოლო H სვეტში მოცემულია რეალური მოხმარება. რეალური მოხმარება უდრის ნომინალურ მოხმარებას გადმოყვანილს დღევანდელ დოლარებში. ნომინალური მოხმარება უდრის შემოსავალს გამოკლებული გადასახადები და შენახვები. ანუ პირველი წლის ნომინალური მოხმარება იქნება $50,000 - 8,750 - 6,188 = 35,063$. პირველი წლის ნომინალური იმიტომ უდრის რეალურ მოხმარებას, რომ ინფლაცია არაა გასათვალისწინებელი, ხოლო ყოველ შემდეგ წელს ეს არ უნდა გამოგვრჩეს. ანუ რომელიმე მომავალი წლის რეალური მოხმარება იქნება იმავე წლის ნომინალური მოხმარება გაყოფილი იმავე წლის დეფლატორზე. მაგალითად მეორე წლის რეალური მოხმარება იქნება $(53,500 - 9,605 - 6,584) / 1.03 = 36,224$. ასე შედგება H სვეტი.

A	B	C	E	F	H
ასაკი	ხელფასი	დეფლატორი	გადასახადი	შენახვა	რეალური მოხმარება
30	\$ 50,000	1	\$ 8,750	\$ 6,188	\$ 35,063
31	\$ 53,500	1.03	\$ 9,605	\$ 6,584	\$ 36,224
59	\$ 355,713	2.36	\$ 94,835	\$ 39,132	\$ 94,097
60	\$ 380,613	2.43	\$ 102,266	\$ 41,752	\$ 97,474
61	\$ 407,256	2.50	\$ 110,253	\$ 44,550	\$ 100,978
65	\$ 533,829	2.81	\$ 148,611	\$ 57,783	\$ 116,365

ზემოთ მოცემული ცხრილი შეეხება წლებს სანამ პიროვნება საპენსიო ასაკს მიაღწევდეს. ახლა საჭიროა წარმოვიდგინოთ გაანგარიშებები, რომლებიც აღწერენ ვითარებას პენსიაზე გასვლის შემდეგ. მაგრამ, მანამდე საჭიროა დავადგინოთ ის თანაბარი ყოველწლიური თანხა, გადმოყვანილი დღევანდელ დოლარებში, რომელიც 25 წლის განმავლობაში (საპენსიო ასაკის ხანგრძლივობა) 0-მდე დაიყვანს საერთო შენახულ თანხას. ეს ადვილად გასაგები იქნება, თუ მას შევადარებთ სესხის ამორტიზაციას. ფინანსური კალკულატორის დახმარებით უნდა გამოვითვალოთ PMT [4], შემდეგი მონაცემებისათვის: $N=25$, $PV=1,874,346/2.81$ (პენსიაზე გასვლამდე საერთო შენახვების საბოლოო თანხა გადმოყვანილი დღევანდელ დოლარებში), $FV=0$, ხოლო $i=0.0291$. i -ის გამოსათვლელად უნდა გავიხსენოთ, რომ საპროცენტო განაკვეთი ზემოთ მოცემული იყო ნომინალური პროცენტის სახით, ჩვენ კი რეალური პროცენტი გვჭირდება, რაც მიიღება ნომინალურს გამოკლებული ინფლაცია, ანუ $6\% - 3\% = 4\%$. მაგრამ ეს არაა ჯერ საკმარისი, ასევე უნდა გავითვალისწინოთ დეფლატორი [1] და საბოლოოდ მივიღებთ $i=(0.06-0.03)/(1+0.03)=0.0291$. ამ საშუალებით მივიღებთ რომ $PMT=37882$. ყოველწლიურ თანაბარ თანხას მხოლოდ იმიტომ ვერ მივიღებთ საბოლოო საერთო შენახვის 25-ზე გაყოფით, რადგან ყოველ წელს პენსიაზე გასვლის შემდეგაც პროცენტი ერიცხება ამ თანხას, ანუ თან აკლდება ის თანხა რომელიც გამოაქვს მოქალაქეს პენსიაზე ყოფნისას, თან ემატება პროცენტი. PMT ზუსტად ის თანხაა, რომელიც საერთო შენახულ თანხას არც მეტი, არც ნაკლები, ზუსტად 25 წელში დაიყვანს ნულამდე.

ამის შემდეგ ქვემოთ მოცემული ცხრილი 2-ის შედგენა ადვილდება. მასში მითითებულ რიცხვებს ქვევით ავხსნით.

ცხრილი 2						
A	B	C	D	E	G	H
ასაკი	ნომ. გამოტანა	დეფლატორი	გამოქვითვა	გადასახადი	საერთო შენახვა	რეალური მოხმარება
66	\$ 109,792	2.90	\$ 43,474	\$ 17,247	\$ 1,877,014	\$ 31,931
67	\$ 113,086	2.99	\$ 44,778	\$ 16,961	\$ 1,876,549	\$ 32,200
75	\$ 143,254	3.78	\$ 56,724	\$ 12,200	\$ 1,721,015	\$ 34,656
81	\$ 171,053	4.52	\$ 67,731	\$ 4,411	\$ 1,337,279	\$ 36,905
85	\$ 192,521	5.08	\$ 76,232	\$ -	\$ 883,895	\$ 37,882
90	\$ 223,185	5.89	\$ 88,374	\$ -	\$ (0)	\$ 37,882

აქვე ნარჩუნდება ასაკის A სვეტი, რომლის ნაწილი, ცხრილის გადატვირთვის არიდების მიზნით, ისევე დამალულია.

C და D სვეტები იგივეა რაც ცხრილ 1-ში. აქაც გრძელდება დეფლატორის და გამოქვითვის გამრავლება იგივე პრინციპით, რაც უკვე ზევით აღვწერთ.

B სვეტში მოცემულია ნომინალური თანხის გამოტანა. ზემოთ გამოთვლილი PMT-ის თანხა, არ დაგვაფიწყდეს, დღევანდელ დოლარებშია დათვლილი და იმისათვის, რათა დავითვალოთ თუ რა თანხის გამოტანას შეძლებს მოქალაქე მომავალში, PMT უნდა გავამრავლოთ სასურველი წლის დეფლატორზე. მაგალითისთვის 66 წლის ასაკში მოქალაქე გამოიტანს $37,882 \times 2.90 = 109,792$ დოლარს. ასე შედგება B სვეტი.

A	B	C
ასაკი	ნომ. გამოტანა	დეფლატორი
66	\$ 109,792	2.90
75	\$ 143,254	3.78
81	\$ 171,053	4.52
85	\$ 192,521	5.08
90	\$ 223,185	5.89

G სვეტში მოცემულია ის თანხა რომელიც ყოველ წელს იკლებს ნომინალური გატანილი თანხით, მაგრამ იზრდება წინა წლის საერთო შენახვაზე დარიცხული პროცენტით. არ გამოგვრჩეს რომ აქ არ გვაქვს ყოველწლიური შენახვები, ამიტომაც არაა ცხრილში F სვეტი. გავიხსენოთ რომ საპროცენტო განაკვეთი უდრის 6%-ს. მაგალითად 67-ე წლის ბოლოს საერთო შენახვა იქნება $1,877,014 \times (1+0.06) - 113,086 = 1,876,549$. და ასე შემდეგ G სვეტში. დააკვირდით რომ 90 წლის ბოლოს საერთო შენახვა ნულის ტოლია.

A	B	G
ასაკი	ნომ. გამოტანა	საერთო შენახვა
66	\$ 109,792	\$ 1,877,014
67	\$ 113,086	\$ 1,876,549
75	\$ 143,254	\$ 1,721,015
81	\$ 171,053	\$ 1,337,279
85	\$ 192,521	\$ 883,895
90	\$ 223,185	\$ (0)

მართალია, ხელფასი მოქალაქეს უკვე არა აქვს, მაგრამ გადასახადის E სვეტი იმიტომ რჩება ამ ცხრილშიც, რადგან საპროცენტო განაკვეთზე ერიცხება გადასახადი. ასევე ძალაშია გამოქვითვაც, რომელიც დეფლატორზე კვლავ მრავლდება და აკლდება დასაბეგრ შემოსავალს. მაგალითად 67-ე წლისთვის გადასახადი დაერიცხება იმ თანხას, რომელიც მიიღება წინა წლის საერთო შენახვაზე მიღებულ საპროცენტო განაკვეთს გამოკლებული ამავე წლის გამოქვითვა. ანუ თუ გადასახადი 25%-ია, 67 წლის ასაკისთვის გადასახადი იქნება $(1,877,014 \times 0.06 - 44,778) \times 0.25 = 16,961$. მაგრამ დააკვირდით თუნდაც 85-ე წელს, სადაც გადასახადი არაა. ეს იმიტომ რომ

წინა წლის საერთო შენახვაზე დარიცხული პროცენტი უფრო ნაკლები აღმოჩნდა ვიდრე გამოქვითვა, ამიტომ იმ და მომდევნო წლებშიც უკვე გადასახადი არ ფიქსირდება.

A	D	E	G
ასაკი	გამოქვითვა	გადასახადი	საერთო შენახვა
66	\$ 43,474	\$ 17,247	\$ 1,877,014
67	\$ 44,778	\$ 16,961	\$ 1,876,549
75	\$ 56,724	\$ 12,200	\$ 1,721,015
81	\$ 67,731	\$ 4,411	\$ 1,337,279
85	\$ 76,232	\$ -	\$ 883,895
90	\$ 88,374	\$ -	\$ (0)

და ბოლოს, ყველაზე მნიშვნელოვანი H სვეტი, რომელიც გვიჩვენებს დღევანდელ დოლარებში გადმოყვანილ იმ თანხას, რომლის მოხმარებასაც მოქალაქე შეძლებს საპენსიო ასაკში. ეს თანხა თითქოს PMT-ის გამოთვლისას უნდა გვცოდნოდა, მაგრამ მაშინ არ გაგვითვალისწინებია გადასახადები. ზუსტადაც როცა გადასახადები არაა, იმ წლებში რეალური მოხმარება უდრის PMT-ის, ასეთია 85 წელი. მაგრამ როცა გადასახადი არის, მაშინ ეს გადასახადი აკლდება ნომინალურ გამოტანას და გადაგვყავს დღევანდელ დოლარებში, ანუ ვყოფთ დეფლატორზე. ასე მაგალითად 67-ე წელს რეალური მოხმარება გამოითვლება: $(113,086 - 16,961) \cdot 2.99 = 32,200$.

A	B	C	E	H
ასაკი	ნომ. გამოტანა	დეფლატორი	გადასახადი	რეალური მოხმარება
66	\$ 109,792	2.90	\$ 17,247	31,931
67	\$ 113,086	2.99	\$ 16,961	32,200
75	\$ 143,254	3.78	\$ 12,200	34,656
81	\$ 171,053	4.52	\$ 4,411	36,905
85	\$ 192,521	5.08	\$ -	37,882
90	\$ 223,185	5.89	\$ -	37,882

ზემოთ აღვწერეთ როგორ მუშაობს საპენსიო გეგმა ამერიკაში. იმისათვის, რათა გავიგოთ თუ როგორ იმუშავებს ეს საქართველოში, უნდა ავიღოთ ადგილობრივი მონაცემები საშუალო წლიურ ხელფასზე, ინფლაციაზე. მონაცემების მოძიება შეიძლება საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინტერნეტ გვერდიდან. ზოგიერთისთვის ეს მონაცემები შეიძლება არაზუსტი, ან არასაიმედო იყოს (მათ შორის ჩვენთვისაც), მაგრამ რაკი უკეთესი წყაროს მოძიება მწელია (თუ შეუძლებელი არა), უნდა დავეყრდნოთ ამ მონაცემებს.

პირველ რიგში საშუალო წლიური ხელფასი. საქსტატის (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის) მიხედვით, 2010 წელს (2011 წლის მონაცემები ჯერ გამოქვეყნებული არაა) საშუალო თვიური ხელფასი შეადგენს **597.6** ლარს [3]. ანუ საშუალო წლიური ხელფასი იქნება $597.6 \cdot 12 = 7171.2$, წლიური ზრდა კი $(597.6 - 556.8) / 556.8 = 7\%$.

ხელფასები							
	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი, ლარი	156.6	204.2	277.9	368.1	534.9	556.8	597.6

ინფლაცია 11.2%-ია 2010 წელს [3] (2011 წლის მონაცემები უკვე გამოქვეყნებულია, რაც 2%-ს უდრის, თუმცა ამ რიცხვს არ ვიყინებ იმიტომ, რომ ხელფასების დასათვლელად 2010 წლის მონაცემები გვაქვს გამოყენებული, ასე რომ ავიღოთ 11.2% ინფლაციისათვის).

სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

	2006	2007	2008	2009	2010	2011
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	109.2	109.2	110.0	101.7	107.1	108.5
დეკემბერი წინა წლის დეკემბერთან	108.8	111.0	105.5	103.0	111.2	102.0
წლიური ინფლაციის დონე	8.8	11.0	5.5	3.0	11.2	2.0

საპროცენტო განაკვეთისათვის გამოვიყენებთ სხვა და სხვა ბანკების საშუალოს დაახლოებით 10%-ს ლარზე.

ცხრილის დასასრულებლად საჭიროა გავარკვიოთ გადასახადებთან დაკავშირებული საკითხები. საშემოსავლო გადასახადი 20%-ია. ხოლო რაც შეეხება გამოქვითვებს, მას საქართველოს საგადასახადო სისტემა არ ითვალისწინებს, ანუ შემოსავალი მთლიანად იბეგრება, რაც გადასახადებს ზრდის, თუმცა ასევე არ არის ორმაგი დაბეგვრა, ანუ საპროცენტო განაკვეთზე არ ირიცხება გადასახადი. ამ ორის არარსებობა აადვილებს გაანგარიშებებს.

ცხრილის შესადგენად მონაცემები უკვე გვაქვს. კვლავ დავუშვათ რომ მოქალაქე თანხას შეაგროვებს 30 წლიდან 65 წლამდე, ყოველწლიურად შემოსავლის 15%-ის ოდენობით; შემდეგ გავა პენსიაზე და შეგროვილ თანხას დახარჯავს 25 წლის განმავლობაში. ასე შედგება ცხრილი 3.

ცხრილი 3

A	B	C	D	E	F	G
ასაკი	შემოსავალი	დეფლატორი	გადასახადი	შენახვა	საერთო შენახვა	რეალური მოხმარება
30	7,171 Lari	1	1,434 Lari	861 Lari	861 Lari	4,876 Lari
31	7,673 Lari	1.11	1,535 Lari	921 Lari	1,867 Lari	4,692 Lari
32	8,210 Lari	1.24	1,642 Lari	985 Lari	3,039 Lari	4,515 Lari
37	11,515 Lari	2.10	2,303 Lari	1,382 Lari	12,202 Lari	3,724 Lari
38	12,321 Lari	2.34	2,464 Lari	1,479 Lari	14,901 Lari	3,584 Lari
64	71,553 Lari	36.95	14,311 Lari	8,586 Lari	499,843 Lari	1,317 Lari
65	76,562 Lari	41.08	15,312 Lari	9,187 Lari	559,015 Lari	1,267 Lari

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა, რომ G სვეტში მოცემული რეალური მოხმარება იკლებს. ეს იმიტომ ხდება, რომ 2010 წლის მონაცემებით ინფლაცია უფრო მეტია ვიდრე იმავე წლის ხელფასის ზრდა. F სვეტის ბოლოს მოცემულია ის თანხა, რომელიც მას ამდენი წლის განმავლობაში დაუგროვდა. ეს ნომინალური თანხა უნდა იმყოფინოს პენსიაზე გასვლის შემდეგ 25 წლის განმავლობაში. რათა დავადგინოთ დღევანდელ ლარებში რამდენის დახარჯვას შეძლებს მოქალაქე ყოველწლიურად პენსიაზე ყოფნის დროს, კვლავ უნდა დავითვალოთ PMT, რაც ნაჩვენებია ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4				
A	B	C	F	G
ასაკი	ნომ. გამოტანა	დეფლატორი	საერთო შენახვა	რეალური მოხმარება
66	21,528 Lari	45.68	593,389 Lari	471 Lari
67	23,939 Lari	50.80	628,788 Lari	471 Lari
68	26,620 Lari	56.49	665,047 Lari	471 Lari
69	29,602 Lari	62.82	701,950 Lari	471 Lari
76	62,237 Lari	132.07	946,094 Lari	471 Lari
89	247,407 Lari	525.03	250,106 Lari	471 Lari
90	275,117 Lari	583.83	0 Lari	471 Lari

გამოდის რომ ხელფასზე დამყარებული საპენსიო გეგმის მიყოლის შემთხვევაში მოქალაქე საქართველოში, საპენსიო ასაკში გასვლისას პირველ წელს საშუალოდ შეძლებს დახარჯოს დაახლოებით 1,794 (21,528/12) ლარი, რაც დღევანდელი ღირებულების **40 ლარის** ტოლია.

რა თქმა უნდა, ჩვენ მიერ გამოყენებული ინფლაციის დონე ყველაზე მაღალია საქსტატის მონაცემებში 2006 წლის შემდეგ, ხოლო ხელფასის ზრდა თითქმის ყველაზე დაბალი. გამოდის რომ ყველაზე ცუდი ვარიანტი გვაქვს განხილული. რა მოხდება, თუ ავირჩევთ შედარებით კარგ ვარიანტს: ინფლაცია **7.9%**, ხელფასი **423** ლარი, მისი ზრდა კი **26.03%**, (ეს რიცხვები მიღებულია საქსტატის ბოლო რამდენიმე წლის მონაცემების გასაშუალებით, მაგალითად ხელფასის ზრდა დავითვალეთ ყოველი წლის ხელფასის ზრდის გამოთვლითა და შემდეგ მათი გასაშუალოებით), საპროცენტო განაკვეთი ავიღოთ 8% (რადგან როცა ინფლაცია დაბალია ნომინალური საპროცენტო განაკვეთიც ეცემა). იხილეთ **ცხრილი 5**.

ცხრილი 5				
A	B	C	F	G
ასაკი	ნომ. გამოტანა	დეფლატორი	საერთო შენახვა	რეალური მოხმარება
66	604,476 Lari	15.44	14,340,704 Lari	39,139 Lari
67	652,230 Lari	16.66	14,835,731 Lari	39,139 Lari
68	703,756 Lari	17.98	15,318,833 Lari	39,139 Lari
69	759,353 Lari	19.40	15,784,987 Lari	39,139 Lari
76	1,292,985 Lari	33.04	17,976,593 Lari	39,139 Lari
89	3,474,341 Lari	88.77	3,471,124 Lari	39,139 Lari
90	3,748,814 Lari	95.78	0 Lari	39,139 Lari

გამოდის რომ ასეთი პირობების დროს პენსიონერი შეძლებს თვეში **დღევანდელი ღირებულების 3,300** (39139/12) ლარის დახარჯვას 25 წლის განმავლობაში.

მათვის ვისთვისაც ეს მონაცემები ზედმეტად ოპტიმისტურია (მათ შორის ჩვენთვის), ავიღებთ მესამე მონაცემს, შედარებით დაბალანსებულს.

ვთქვათ წლიური ინფლაციის დონე არის **8%**, ხელფასის ზრდა - **11%**, ანაბარზე საპროცენტო განაკვეთი - **12%** საწყისი ხელფასი კი თვეში 550 ლარი და შევადგინოთ ცხრილი, ისე რომ სხვა დანარჩენი უცვლელად დავტოვოთ. იხილეთ **ცხრილი 6**.

ცხრილი 6				
A	B	C	F	G
ასაკი	ნომ. გამოტანა	დეფლატორი	საერთო შენახვა	რეალური მოხმარება
66	86,568 Lari	15.97	1,360,859 Lari	5,421 Lari
67	93,493 Lari	17.25	1,430,669 Lari	5,421 Lari
68	100,972 Lari	18.63	1,501,377 Lari	5,421 Lari
69	109,050 Lari	20.12	1,572,492 Lari	5,421 Lari
76	186,893 Lari	34.47	2,013,356 Lari	5,421 Lari
89	508,278 Lari	93.76	490,125 Lari	5,421 Lari
90	548,940 Lari	101.26	0 Lari	5,421 Lari

მაშინ გამოდის, რომ საპენსიო ასაკში გასვლისას მოქალაქე პირველ წელს შეძლებს რომ დახარჯოს თვეში 7,214 ლარი (86,568/12) რაც დღევანდელი ღირებულების დაახლოებით **450 ლარია**.

როდესაც რეალობა გაუტოლდება ამ მონაცემებს, როდესაც ინფლაცია უფრო დაბალი იქნება ვიდრე ხელფასის ზრდა და ასევე უფრო დაბალი ვიდრე ანაზარზე საპროცენტო განაკვეთი, მაშინ შეძლებს საქართველოს მოქალაქე თავისი სიბერის დაფინანსებას და არ იქნება სახელმწიფოს საცხოვრებელ მინიმუმზე დაბალი პენსიის იმედზე.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Bodie, Kane, Marcus. *Essentials of Investments. 5th edition.*
2. Wikipedia - The Free Encyclopedia.
3. National Statistics Office of Georgia.
4. Brigham E. F., Ehrhardt Michael H. *Financial Management: Theory and Practice.*